კოლეჯ „აისის“ 2023 წლის კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში

შინაარსი

შესავალი.....2
კვლევის მიზნები.....2
კვლევის ამოცანები.....3
კვლევის მეთოდოლოგია და ტექნიკური მხარე.....3
კვლევის სამიზნე ჯგუფი.....4
გამოკითხვის შედეგები პროგრამების მიხედვით.....4
დემოგრაფიული მონაცემები.....6
დასაქმება.....10
პროფესიებზე დასაქმების მაჩვენებლის ანალიზი.....12
კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკა.....22
კურსდამთავრებულთა სამუშაოს მახასიათებლები.....23
კურსდამთავრებულთა შემდგომი გეგმები.....27
პროფესიული პროგრამის შეფასება.....33
პროგრამაზე სწავლის გამოცდილების შეფასება.....34
სწავლისას მიღებული კომპეტენციების შეფასება….....35
სწავლით ზოგადი კმაყოფილების შეფასება….....36
დასკვნა.....37

შესავალი

კურსდამთავრებულთა კვლევა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს საგანმანათლებლო პროგრამების გრძელვადიანი ეფექტიანობის შესაფასებლად. ის საშუალებას გვაძლევს გავზომოთ, შევაფასოთ და აღვწეროთ სწავლების რეალური შედეგები დროის პერსპექტივაში. კვლევის მეშვეობით ვიღებთ მრავალმხრივ ინფორმაციას კურსდამთავრებულთა პროფესიული განვითარების ტრაექტორიების შესახებ, მათ შორის განათლების გაგრძელების, დასაქმების, თვითდასაქმების თუ უმუშევრობის კუთხით. შეგროვებული მონაცემთა ბაზა აერთიანებს როგორც ობიექტურ ინფორმაციას კურსდამთავრებულთა შესახებ, ასევე მათ სუბიექტურ აღქმებსა და შეფასებებს, რაც საფუძველს ქმნის სრულყოფილი ანალიზისთვის.

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს კოლეჯ „აისის" საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა შესახებ კომპლექსურ მიმოხილვას. დოკუმენტში გაანალიზებულია საკვანძო ტენდენციები: დასაქმების მაჩვენებლები, სასწავლო პროცესით კმაყოფილების დონე და კარიერული წინსვლის დინამიკა. კვლევის შედეგები წარმოდგენილია თვალსაჩინო ვიზუალური კომპონენტების - ცხრილებისა და გრაფიკების სახით, რომლებსაც ახლავს ტექსტური ანალიზი. ეს უზრუნველყოფს მონაცემთა სრულყოფილ ინტერპრეტაციას და აადვილებს დასკვნების გამოტანას.

კურსდამთავრებულთა კვლევის მიზნები

კურსდამთავრებულთა კვლევას ორი ძირითადი მიზანი აქვს:

- კოლეჯ „აისის" 2023 წლის კურსდამთავრებულთა სწავლის შემდგომი პროფესიული საქმიანობის შესწავლა;
- კოლეჯის მიერ გაწეული მომსახურების შეფასება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებაში.

კვლევა იძლევა მნიშვნელოვან ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა გავლენას ახდენს სასწავლო რესურსები, სწავლის პირობები და სასწავლო პროცესის სხვადასხვა კომპონენტი (მასწავლებლები, სასწავლო მეთოდოლოგია, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა) სწავლის შედეგებზე თითოეული პროგრამის ფარგლებში.

კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია, როგორც კონკრეტული სასწავლო პროგრამების, ისე მთლიანად საგანმანათლებლო დაწესებულების, პროფესიული განათლების სისტემისა და შრომის ბაზრის განვითარებისთვის. კვლევის შედეგები დაგვეხმარება პროფესიული განათლებისა და პროგრამების ხარისხის კომპლექსურ შეფასებასა და განვითარების სტრატეგიის დაგეგმვაში.

კვლევის ამოცანები

კურსდამთავრებულთა კვლევა მიზნად ისახავს შემდეგი საკითხების შესწავლას:

1. პროფესიულ სასწავლებელთან კომუნიკაციისა და ურთიერთობის ეფექტურობის შეფასება;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხისა და რელევანტურობის შეფასება;
3. სასწავლო პროცესში მიღებული გამოცდილების ანალიზი;
4. სასწავლო გარემოს, რესურსებისა და სწავლების პროცესის შეფასება;
5. პროგრამის ფარგლებში მიღებული კომპეტენციების ეფექტიანობის შეფასება;
6. პროფესიული პროგრამით საერთო კმაყოფილების დონის განსაზღვრა;
7. პროფესიული სტუდენტების მხარდამჭერი სერვისების ეფექტიანობის შეფასება;
8. კურსდამთავრებულთა შემდგომი საქმიანობის კვლევა (დასაქმება, თვითდასაქმება, სტაჟირება, სწავლის გაგრძელება და სხვა აქტივობები);
9. კურსდამთავრებულთა ზოგადი კმაყოფილების დონისა და სამომავლო გეგმების ანალიზი.

კვლევის მეთოდოლოგია და ტექნიკური მხარე

კვლევა განხორციელდა პროფესიული უნარების სააგენტოს მნიშვნელოვანი მხარდაჭერით, რომლის ფარგლებშიც ეფექტურად იქნა მობილიზებული კოლეჯ „აისის" შიდა ადამიანური რესურსი. პროცესის კოორდინირებას უძღვებოდნენ პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი და ხარისხის მართვის მენეჯერი, კოლეჯის სხვა თანამშრომლების აქტიური და ორგანიზებული ჩართულობით.

მონაცემთა შეგროვება განხორციელდა მეთოდოლოგიურად გამართული, სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით, რომელიც ინტეგრირებული იყო პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ სპეციალურად შექმნილ ინოვაციურ ელექტრონულ პლატფორმაზე. კურსდამთავრებულებს შეეძლოთ კითხვარის შევსება მოქნილად, დისტანციური წვდომით, როგორც პერსონალური კომპიუტერის, ისე მობილური ტელეფონის საშუალებით, რამაც უზრუნველყო მონაწილეობის მაღალი ხარისხი.

კვლევის სამიზნე ჯგუფი

კვლევის სამიზნე ჯგუფი განისაზღვრა კოლეჯ „აისის“ და მისი ფილიალების 2023 წლის იმ კურსდამთავრებულთა რაოდენობით, რომლებმაც წარმატებით დაასრულეს სასწავლო პროგრამა და მოიპოვეს შესაბამისი კვალიფიკაცია.

2023 წელს კვალიფიკაცია მიენიჭა სსიპ კოლეჯ „აისის“ 19 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის 412 კურსდამთავრებულს. ფილიალების მიხედვით კურსდამთავრებულთა რაოდენობა შემდეგნაირად გადანაწილდა.

1. კაჭრეთი - 160 კურსდამთავრებული
2. დედოფლისწყაროს ფილიალი - 70 კურსდამთავრებული
3. ლაგოდეხის ფილიალი - 87 კურსდამთავრებული
4. ალვანის ფილიალი - 95 კურსდამთავრებული

სამიზნე ჯგუფის ასეთი მიზნობრივი შერჩევა უზრუნველყოფს კვლევის შედეგების რელევანტურობასა და სანდოობას.

გამოკითხვის შედეგები პროგრამების მიხედვით

საბოლოოდ, კვლევაში მონაწილეობა მიიღო სსიპ კოლეჯ „აისის“ 400-მა კურსდამთავრებულმა, ანუ საერთო რაოდენობის 97%-მა. 12 კურსდამთავრებული კვლევაში არ ჩაერთო.



პროფესიული პროგრამების მიხედვით კვლევაში მონაწილეთა რაოდენობა პროცენტულად ასე გამოიყურება:

N	პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	გამოკითხულთა რაოდენობა	გამოსაკითხთა ჯამური რაოდენობა	გამოპასუხების %
1.	ელექტროობა	33	36	91.7%
2.	თექის დამზადება	25	26	96.2%
3.	თმისა და სილამაზის მომსახურება	41	44	93.2%
4.	მომინანქრება	26	27	96.3%
5.	სატყეო საქმე	38	41	92.7%
6.	ქვის სამუშაოების წარმოება	15	16	93.8%
7.	თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი	29	29	100%
8.	იატაკისა და ფილის სამუშაოები	23	23	100%
9.	ინფორმაციის ტექნოლოგია	22	22	100%
10.	კერამიკული ნაკეთობის დამზადება	16	16	100%
11.	მებაღეობა	12	12	100%
12.	მევენახეობა-მეღვინეობა	18	18	100%
13.	მეფუტკრეობა	10	10	100%
14.	მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება	22	22	100%
15.	მხატვრული ქსოვილები	15	15	100%
16.	საოფისე საქმე	12	12	100%
17.	შედუღება	17	17	100%
18.	ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება	14	14	100%
19.	ხის მხატვრული დამუშავება	12	12	100%

დემოგრაფიული მონაცემები

გამოკითხული 400 კურსდამთავრებულიდან 155 იყო ქალი და 245 მამაკაცი, რაც პროცენტულად შემდეგნაირად გადანაწილდა: 39% ქალი და 61% მამაკაცი.



რაც შეეხება ასაკობრივ მონაცემებს, კურსდამთავრებულთა უმრავლესობა - 257 ადამიანი (64%) იყო 25 წელზე მეტი ასაკის, ხოლო 15-დან 25 წლამდე ასაკის კურსდამთავრებულთა რაოდენობამ შეადგინა 143 ადამიანი (36%).



ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით გამოკითხულთა 97% ანუ 388 კურსდამთავრებული არის ქართველი, 3 სომეხი (0,7%), 2 აზერბაიჯანელი (0,5%), 1 ოსი (0,3%) და 6 (1,5%) სხვა ეთნიკური წარმომავლობის პირი.



კოლეჯში სწავლის პერიოდში ყველა იყო საქართველოს მოქალაქე და ცხოვრობდნენ საქართველოში. გამოკითხვის პერიოდში კი 396 ცხოვრობდა საქართველოში, 4 კურსდამთავრებული საზღვარგარეთ.



საქართველოში მცხოვრები 396 ადამიანის ამჟამინდელი საცხოვრებელი ადგილი რეგიონების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა: კახეთში ცხოვრობს 367 (92,7%) კურსდამთავრებული, თბილისში - 19 (4,8%), მცხეთა-მთიანეთის რეგიონში - 2 (1%), ქვემო ქართლში - 4 (1%), შიდა-ქართლის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში და აჭარაში ცხოვრობს თითო კურსდამთავრებული. რაც მთლიანობაში 0,12%-ს შეადგენს.



რაც შეეხება, კურსდამთავრებულთა ამჟამინდელ სტატუსებს, შესაძლებლობის შეზღუდვისა და სოციალური კუთვნილების მიხედვით, გამოკითხვის პერიოდში შემდეგნაირად გადანაწილდა:

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის სტატუსი აქვს 12 (3%) კურსდამთავრებულს, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის სტატუსი - 27 (6,75%) კურსდამთავრებულს, სოციალურად დაუცველი პირის სტატუსი - 30 (7,5%) კურსდამთავრებულს, ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებული პირი (დევნილი) არის 5 (1,25%) კურსდამთავრებული, მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსით სარგებლობს 17 (4,25%) კურსდამთავრებული, თავშესაფრის მაძიებელი არის 1 პირი (0,25%), ე.წ. ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლთან მცხოვრები პირის სტატუსი აქვს არის 6 (1,5%) კურსდამთავრებულს, ჰუმანიტარული სტატუსით სარგებლობს 18 (4,5%) კურსდამთავრებული. 285 (71,25%) კურსდამთავრებულს ზემოთ ჩამოთვლილთაგან არცერთი სტატუსი არ გააჩნია.



პროფესიული პროგრამის კურსის დასრულებამდე კვლევაში მონაწილე პირთა მიღწეული განათლების უმაღლესი საფეხური შემდეგნაირად გადანაწილდა: 40,8%-ს ანუ 163 კურსდამთავრებულს მიღებული ქონდა საშუალო განათლება, საბაზო განათლების მქონე პირთა რაოდენობა იყო 62 (15,5%), პროფესიული განათლება მიღებული ქონდა 96 კურსდამთავრებულს, რაც შეადგენს 24%-ს. უმაღლესი განათლებით კი კოლეჯ „აისში“ სწავლობდა 79 პირი. მათ შორის ბაკალავრი იყო 56 (14%), დოქტორი - 22 (5,5%), მაგისტრი – 1 (0,2%)



დასაქმება

კვლევის შედეგმა აჩვენა, რომ სსიპ კოლეჯ „აისის“ 2023 წლის 400 კურსდამთავრებულიდან დასაქმებულია 301, რაც შეადგენს გამოკითხულთა საერთო რაოდენობის 75%-ს. რაც შეეხება, უმუშევრობის საერთო მაჩვენებელს, გამოკითხვის მომენტში 99 კურსდამთავრებული, ანუ გამოკითხულთა 25% არის უმუშევარი.



საინტერესო იყო კოლეჯის კურსდამთავრებულთა სტატუსი პროფესიულ საგანმამათლებლო პროგრამაზე სწავლის დაწყების მომენტისთვის. კვლევის თანახმად გაირკვა, რომ კოლეჯ „აისისა“ და მისი ფილიალების 400 კურსდამთავრებულის სტატუსი პროფესიულ საგანმამათლებლო პროგრამაზე სწავლის დაწყების მომენტისთვის გამოიყურებოდა შემდეგნაირად:

დასაქმებული იმ პროფესიით, რომელ პროგრამაზეც ჩააბარეს იყო კურსდამთავრებულთა 13%, თვითდასაქმებული იმ პროფესიით, რომელ პროგრამაზეც ჩააბარეს იყო ასევე კურსდამთავრებულთა 13%, სხვა მიმართულებით დასაქმებულთა რაოდენობამ შეადგინა 28%, ხოლო, თვითდასაქმებული სხვა მიმართულებით აღმჩნდა კურსდამთავრებულთა 11%, რაც შეეხება, იმ პირთა პროცენტულ რაოდენობას, რომლებიც სწავლის დაწყების მომენტისთვის არ მუშაობდნენ, იყო 35%.



სწავლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი გაიზარდა და სტატისტიკა დასაქმების მიმართულებით შემდეგნაირად შეიცვალა:



იმ კურსდამთავრებულთა რიცხვი, რომლებიც სწავლის დაწყების წინ იმ პროფესიით იყვნენ დასაქმებულები, რომელ პროგრამაზეც ჩააბარეს, გაიზარდა 7%-ით და გახდა 20%, ვინც თვითდასაქმებული იყო იმავე პროფესიით, რომელ პროგრამაზეც ჩააბარეს, მათი რაოდენობაც 1%-ით გაიზარდა და 14% გახდა. 7%-ით გაიზარდა სხვა მიმართულებით დასაქმებულ კურსდამთავრებულთა რიცხვიც და 35%-ს მიაღწია. ვინც თვითდასაქმებული იყო სხვა მიმართულებით, მათი რაოდენობა 3%-ით შემცირდა და გახდა 8%, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული პირები პროფესიის მიმართულებით დასაქმდნენ. უმუშევართა რაოდენობაც შემცირდა და გამოკითხვის პროცესში მათი რაოდენობა 25% იყო. უმუშევრობის მიზეზად ძირითადად ოჯახური პირობები ან სწავლის გაგრძელება სახელდება.

*აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ რესპონდენტებს შეეძლოთ მოენიშნათ რამდენიმე სტატუსი. სწორედ ამიტომ, სხვადასხვა მიმართულებით დასაქმების ზუსტი მაჩვენებლის გამოთვლა შეუძლებელია.

პროფესიებზე დასაქმების მაჩვენებლის ანალიზი

ელექტროობის სპეციალობაზე კოლეჯ „აისის“ კაჭრეთის და დედოფლისწყაროს ფილიალში 2023 წელს კვალიფიკაცია მიენიჭა 36 კურსდამთავრებულს. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 33-მა კურსდამთავრებულმა, რომელთაგან 29 ანუ 88% დასაქმებულია, 4 ანუ 12% არ მუშაობს, 29 დასაქმებულიდან 19 დაქირავებულია, 10 თვითდასაქმებული. დასაქმებულ კურსდამთავრებულთა პროცენტული მაჩვენებლი გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიყურება:





თექის დამზადების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ალვანისა და დედოფლისწყაროს ფილიალებში 2023 წელს კვალიფიკაცია მიენიჭა 26 კურსდამთავრებულს. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 25-მა. მათგან 18 ანუ 72% დასაქმებულია, 7 ანუ 28% არ მუშაობს. 18 დასაქმებულიდან 11 დაქირავებულია, 7 თვითდასაქმებული, დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიყურება:





თმისა და სილამაზის მომსახურების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (კაჭრეთში, დედოფლისწყაროსა და ალვანის ფილიალებში) 2023 წელს დაასრულა 44-მა სტუდენტმა. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 41-მა კურსდამთავრებულმა. მათგან 24 ანუ კურსდამთავრებულთა 59% დასაქმებულია, 17 ანუ 41% უმუშევარია, დასაქმებული 24 კურსდამთავრებულიდან 19 დაქირავებულია, 5 თვითდასაქმებული. დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიყურება:





მომინანქრების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ალვანის ფილიალში ხორციელდება, 2023 წელს დაასრულა 27-მა სტუდენტმა. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 26-მა კურსდამთავრებულმა. მათგან 17 (65%) დასაქმებულია, 9 ანუ 35% უმუშევარი, დასაქმებული 17 კურსდამთავრებულიდან 10 დაქირავებულია, 7 თვითდასაქმებული. დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიყურება:





სატყეო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება კაჭრეთში და ლაგოდეხის ფილიალში. 2023 წელს ორივე ლოკაციაზე სწავლა დაასრულა 41-მა სტუდენტმა. მათ შორის მოდულური სწავლების მიმართულებით 22 კურსდამთავრებულს მიენიჭა კვალიფიკაცია (კვლევაში მონაწილეობა მიიღო 20-მა კურსდამთავრებულმა), ინტეგრირებული სწავლების მიმართულებით კვალიფიკაცია მიენიჭა 19-ს (კვლევაში მონაწილეობა მიიღო 18-მა კურსდამთავრებულმა). კვლევაში სულ მონაწილეობა მიიღო 38-მა კურსდამთავრებულმა. მათგან სულ დასაქმებულია 33 კურსდამთავრებული ანუ 87%, არ მუშაობს 5 კურსდამთავრებული ანუ 13%. თვითდასაქმებულია 7 კურსდამთავრებული, ხოლო დაქირავებულია 26, დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიყურება:





ქვის სამუშაოების წარმოების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც დედოფლისწყაროს ფილიალში ხორციელდება, 2023 წელს დაასრულა 16-მა სტუდენტმა. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 15-მა კურსდამთავრებულმა. მათგან 11 ანუ 73% დასაქმებულია, არ მუშაობს მხოლოდ 4 კურსდამთავრებული, რაც შეადგენს 27%-ს. რაც შეეხება დასაქმების ფორმას, 5 თვითდასაქმებულია, 6 დაქირავებული. დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიყურება:





თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ლაგოდეხის ფილიალში ხორციელდება, 2023 წელს დაასრულა 29 სტუდენტმა. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ყველა კურსდამთავრებულმა. მათგან დასაქმებულია 15 ანუ 52%, არ მუშაობს 14 ანუ 48%. დასაქმებული 15 კურსდამთავრებულიდან 5 თვითდასაქმებულია, 10 დაქირავებული. დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიყურება:





იატაკისა და ფილის სამუშაოების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც კაჭრეთსა და ლაგოდეხის ფილიალში ხორციელდება, 2023 წელს დაასრულა 23 სტუდენტმა. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ყველა კურსდამთავრებულმა. მათგან დასაქმებულია 20 ანუ 87%, არ მუშაობს 3 ანუ 13%. დასაქმებული 20 კურსდამთავრებულიდან 9 თვითდასაქმებულია, 11 დაქირავებული. დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიყურება:





ინფორმაციის ტექნოლოგიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც კაჭრეთის ბაზაზე ხორციელდება, 2023 წელს დაასრულა 22-მა სტუდენტმა. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ყველა კურსდამთავრებულმა. მათგან დასაქმებულია 12 ანუ 55%, არ მუშაობს 10 ანუ 45%. დასაქმებული 12 კურსდამთავრებულიდან 6 თვითდასაქმებულია, 6 დაქირავებული. დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიყურება:





კერამიკული ნაკეთობის დამზადების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ალვანის ფილიალში ხორციელდება, 2023 წელს დაასრულა 16-მა სტუდენტმა. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ყველა კურსდამთავრებულმა. მათგან დასაქმებულია 13 ანუ 81%, არ მუშაობს 3 ანუ 19%. დასაქმებული 13 კურსდამთავრებულიდან 4 თვითდასაქმებულია, 9 დაქირავებული. დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიყურება:





მევენახეობა-მეღვინეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც კაჭრეთის ბაზაზე ხორციელდება, 2023 წელს დაასრულა 18-მა სტუდენტმა. მათ შორის 7 იყო დუალური პროგრამის კურსდამთავრებული და 11 მოდულური პროგრამის კურსდამთავრებული. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ყველა მათგანმა. დასაქმებულია სულ 14 ანუ კურსდამთავრებულთა 78%. დასაქმების ფორმის მიხედვით, მთლიანობაში 5 თვითდასაქმებულია, 9 დაქირავებული.



აქვე აღვნიშნათ, რომ მევენახეობა-მეღვინეობის დუალური პროგრამის ყველა კურსდამთავრებული დასაქმებულია, რაც 100%-იან მაჩვენებელს წარმოადგენს. რაც შეეხება, მევენახეობა-მეღვინეობის მოდულური პროგრამის კურსდამთავრებულებს, 11-დან დასაქმებულია მხოლოდ 7, რაც 64%-ს შეადგენს. ეს მონაცემები მიუთითებს, რომ დასაქმების თვალსაზრისით დუალური პროგრამა უფრო წარმატებულია.



მებაღეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე დასაქმების მაჩვენებელი არის 100%. პროგრამა ლაგოდეხის ფილიალში ხორციელდება და 2023 წელს კვალიფიკაცია მიენიჭა 12 სტუდენტს. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ყველა კურსდამთავრებულმა. მათგან ყველა ანუ 100% დასაქმებულია. რაც შეეხება დასაქმების ფორმას, 3 თვითდასაქმებულია, 9 დაქირავებული.

მეფუტკრეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა კაჭრეთის ბაზაზე 2023 წელს დაასრულა 10-მა სტუდენტმა. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ყველა კურსდამთავრებულმა. მათგან დასაქმებულია 8 ანუ 80%, არ მუშაობს 2 ანუ 20%. დასაქმებული 8 კურსდამთავრებულიდან 4 თვითდასაქმებულია, 4 დაქირავებული. დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიყურება:





მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც კაჭრეთის ბაზაზე ხორციელდება, 2023 წელს დაასრულა 22-მა სტუდენტმა. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ყველა კურსდამთავრებულმა. მათგან დასაქმებულია 18 ანუ 82%, არ მუშაობს 4 ანუ 18%. დასაქმებული 18 კურსდამთავრებულიდან 2 თვითდასაქმებულია, 16 დაქირავებული. დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიყურება:





მხატვრული ქსოვილების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ალვანის ფილიალში ხორციელდება, 2023 წელს დაასრულა 15-მა სტუდენტმა. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ყველა კურსდამთავრებულმა. მათგან დასაქმებულია 12 ანუ 80%, არ მუშაობს 3 ანუ 20%. დასაქმებული 12 კურსდამთავრებულიდან 5 თვითდასაქმებულია, 7 დაქირავებული. დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიყურება:





საოფისე საქმის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ლაგოდეხის ფილიალში ხორციელდება, 2023 წელს დაასრულა 12-მა სტუდენტმა. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ყველა კურსდამთავრებულმა. მათგან დასაქმებულია 9 ანუ 75%, დასაქმებული 9 კურსდამთავრებულიდან 2 თვითდასაქმებულია, 7 დაქირავებული. დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიყურება





შედუღების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (ინტეგრირებული), რომელიც დედოფლისწყაროს ფილიალში ხორციელდება, 2023 წელს დაასრულა 17-მა სტუდენტმა. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ყველა მათგანმა. დასაქმებულია 13, რაც შეადგენს 76%-ს არ მუშაობს 4 ანუ კურსდამთავრებულთა 24%. რაც შეეხება დასაქმების ფორმას, 5 (38%) თვითდასაქმებულია, 8 (62%) დაქირავებული. დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიყურება:





ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (ინტეგრირებული), რომელიც კაჭრეთის ბაზაზე ხორციელდება, 2023 წელს დაასრულა 14-მა სტუდენტმა. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ყველა მათგანმა. დასაქმებულია 13, რაც შეადგენს კურსდამთავრებულთა 93%-ს, არ მუშაობს 1 ანუ 7%. რაც შეეხება დასაქმების ფორმას, თვითდასაქმებულია 7 რაც შეადგენს 54%-ს, დაქირავებულია 6 ანუ 46%. დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიყურება:





ხის მხატვრული დამუშავების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც კაჭრეთის ბაზაზე ხორციელდება, 2023 წელს დაასრულა 12-მა სტუდენტმა. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ყველა კურსდამთავრებულმა. მათგან დასაქმებულია 12 ანუ 80%, არ მუშაობს 2 ანუ 20%. დასაქმებული 12 კურსდამთავრებულიდან 5 თვითდასაქმებულია, 5 დაქირავებული. დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიყურება:





2023 წლის კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკა

N	პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	პროგრამის განხორციელების ადგილი	პროგრამის სწავლების ტიპი	კურსდამთავრებულთა რაოდენობა	გამოკითხულთა რაოდენობა	დასაქმებულია	არ მუშაობს	დასაქმების %-ული მაჩვენებელი	თვითდასაქმებული	დაქირავებული
1	ელექტროობა	კაჭრეთი და დედოფლისწყარო	მოდულური	36	33	29	4	88%	10	19
2	თექის დამზადება	ალვანი და დედოფლისწყარო	მოდულური	26	25	18	7	72%	7	11
3	თმისა და სილამაზის მომსახურება	კაჭრეთი, ალვანი, დედოფლისწყარო	მოდულური	44	41	24	17	59%	5	19
4	მომინანქრება	ალვანი	მოდულური	27	26	17	9	65%	7	10
5	სატყეო საქმე	კაჭრეთი და ლაგოდეხი	მოდულური და ინტეგრირებული	41	38	33	5	87%	7	26
6	ქვის სამუშაოების წარმოება	დედოფლისწყარო	მოდულური	16	15	11	4	73%	5	6
7	თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი	ლაგოდეხი	მოდულური	29	29	15	14	52%	5	10
8	იატაკისა და ფილის სამუშაოები	კაჭრეთი და ლაგოდეხი	მოდულური	23	23	20	3	87%	9	11
9	ინფორმაციის ტექნოლოგია	კაჭრეთი	მოდულური	22	22	12	10	55%	6	6
10	კერამიკული ნაკეთობის დამზადება	ალვანი	მოდულური	16	16	13	3	81%	4	9
11	მებაღეობა	ლაგოდეხი	მოდულური	12	12	12	0	100%	3	9
12	მევენახეობა-მეღვინეობა	კაჭრეთი	მოდულური	11	11	7	4	64%	3	4
13	მევენახეობა-მეღვინეობა	კაჭრეთი	დუალური	7	7	7	0	100%	2	5
14	მეფუტკრეობა	კაჭრეთი	მოდულური	10	10	8	2	80%	4	4
15	მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება	კაჭრეთი	მოდულური	22	22	18	4	82%	2	16
16	მხატვრული ქსოვილები	ალვანი	მოდულური	15	15	12	3	80%	5	7
17	საოფისე საქმე	ლაგოდეხი	მოდულური	12	12	9	3	75%	2	7
18	შედუღება	დედოფლისწყარო	ინტეგრირებული	17	17	13	4	76%	5	8
19	ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება	კაჭრეთი	ინტეგრირებული	14	14	13	1	93%	7	6
20	ხის მხატვრული დამუშავება	კაჭრეთი	მოდულური	12	12	10	2	83%	5	5

კურსდამთავრებულთა სამუშაოს მახასიათებლები

კურსდამთავრებულთა კვლევის ფარგლებში, ასევე, გვაინტერესებდა დასაქმებულ კურსდამთავრებულთა სამუშაოს კონკრეტული მახასიათებლები. კერძოდ, დასაქმება ეკონომიკის სექტორის მიხედვით, რანგი, ხელფასი, სამუშაოს შესასრულებლად აუცილებელი უნარების და კომპეტენციების ფლობა, ამჟამინდელი სამუშაოს შესაბამისობა პროფესიულ კვალიფიკაციასთან და კარიერული განვითარების შემდგომი გეგმები.

ეკონომიკის სექტორის მიხედვით, დასაქმებულთა ყველაზე მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვის, არქიტექტურისა და მშენებლობის, ელექტროობის, განათლების და ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულებით, ასევე კარგი მაჩვენებელია ხელოვნების და მომსახურების (სილამაზის მომსახურება, სასტუმრო, რესტორანი და კვების მომსახურებები) სექტორში. დასაქმების შედარებით დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა ისეთ დარგებში, რომლის მიმართულებითაც კოლეჯი „აისი“ პროგრამებს არ ახორციელებს. მაგ: ტექსტილის წარმოება, ტურიზმი, სამთო საქმე და მექანიკური მიმართულებები.



საინტერესო იყო კურსდამთავრებულთა მიმდინარე სტატუსი სამუშაო პოზიციის მიხედვით. აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემა გაუჭირდა 80 ადამიანს, ანუ დასაქმებულთა 27%-ს. დანარჩენთა პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: 118 (39%) - დაბალი რგოლის თანამშრომელი (მაგ: სპეციალისტი), 78 (26%) შუა რგოლის თანამშრმელი (მაგ: სუპერვაიზერი, მენეჯერი), ზედა რგოლის თანამშრომლის პოზიცია (მაგ: დირექტორი) მონიშნა 25-მა კურსდამთავრებულმა, რაც შეადგენს დასაქმებულთა 8%-ს.



ასევე, საინტერესო იყო დასაქმებულ კურსდამთავრებულთა ანაზღაურების კვლევა. 58-მა კურსდამთავრებულმა ანუ დასაქმებულთა 19%-მა ააღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემას თავი აარიდა. დარჩენილი 81% კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელი გვიჩვენებს, რომ 300 ლარამდე ანაზღაურება ძალიან მცირე რაოდენობას აქვს. თითქმის დასაქმებულთა ნახევარის ანაზღაურება 500-დან 1000 ლარამდეა და დაახლოებით ამდენივეს 1000-დან 2000 ლარემდე აქვს ანაზღაურება. მერყეობს, თუმცა, არიან კურსდამთავრებულები, რომელთა ანაზღაურება 2000 ლარიდან 3000 ლარამდეა. ორ კურსდამთავრებულს 4000-დან 5000 ლარამდე აქვს ანაზღაურება, ხოლო 4 კურსდამთავრებულის ანაზღაურება კი 5000 ლარს აღემატება.



კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია თქვენი ამჟამინდელი სამუშაოს შესასრულებლად ქვემოთ წარმოდგენილი უნარების/კომპეტენციების ფლობა, კურსდამთავრებულთა უმრავლესობამ, დაახლოებით 60%-მა უპასუხა, რომ პროფესიული ცოდნა, პროფესიული უნარები, უცხო ენა, კომპიუტერული უნარები, შემოქმედებითი, სწავლის, კრიტიკული აზროვნების, გუნდური მუშაობის უნარი, პრობლემების გადაჭრის უნარი და მეწარმეობის უნარი არის ძალიან მნიშვნელოვანი, მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობამ აღნიშნა რომ ამჟამინდელი სამუშაოს შესრულებისას აღნიშნული უნარები არ ჭირდებათ.


უნარებისა და კომპეტენციების ფლობის მნიშვნელობა
მეწარმეობის უნარი
222
36
20
13
10
პრობლემების გადაჭრის უნარი
256
27
14
2
2
გუნდური მუშაობის უნარი
256
27
14
2
2
კრიტიკული აზროვნება
230
39
21
4
7
სწავლის უნარი
241
37
17
1
5
ადაპტაციის უნარი
238
36
15
7
5
შემოქმედებითი უნარი
224
41
27
4
5
კომპიუტერული უნარები
193
37
44
12
15
უცხო ენა
185
34
46
2
24
პროფესიული უნარები
231
36
20
5
9
პროფესიული ცოდნა
228
28
26
8
11
0
50
100
150
200
250
300
ძალიან მნიშვნელოვანია
მნიშვნელოვანია
საშუალოდ მნიშვნელოვანია
არც ისე მნიშვნელოვანია
საერთოდ არ არის მნიშვნელოვანი

რაც შეეხება, რამდენად შეესაბამება კურსდამთავრებულთა ამჟამინდელი სამუშაო მათ პროფესიულ კვალიფიკაციას, უმრავლესობამ - 230 მონაწილემ (77%) აღნიშნა, რომ სრულიად შეესაბამება, 28 (9%) კურსდამთავრებულმა აღნიშნა, რომ გაცილებით მაღალი კვალიფიკაცია აქვთ, ვიდრე მათი სამუშაო ითხოვს, ხოლო 43-მა (14%) კურსდამთავრებულმა დააფიქსირა, რომ მათი ამჟამინდელი სამუშაო ითხოვს უფრო მაღალ კვალიფიკაციას.



კურსდამთავრებულთა შემდგომი გეგმები

კითხვაზე, რა ტიპის ცვლილებებს გეგმავთ თქვენს შემდგომ კარიერულ განვითარებაში, მონაცემების ანალიზიდან შეგვიძლია დავასკვნათ:

1. ყველაზე მეტი კურსდამთავრებული (109) არ გეგმავს არანაირ ცვლილებას.
2. მეორე ადგილზეა საკუთარი ბიზნესის დაწყების სურვილი (92 რესპონდენტი).
3. მნიშვნელოვანი რაოდენობა (82) გეგმავს სამსახურის დაწყებას.
4. სწავლის გაგრძელებას გეგმავს 61 კურსდამთავრებული.
5. დაწინაურებას ელოდება 58 რესპონდენტი.
6. შედარებით ნაკლები (39) გეგმავს სამსახურის შეცვლას.
7. მხოლოდ 2 აპირებს სამსახურის მიტოვებას.



*აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ რესპონდენტებს შეეძლოთ რამდენიმე პასუხის მონიშვნა. ამიტომ, ჯამური რიცხვი აღემატება რესპონდენტების საერთო რაოდენობას. ეს მიუთითებს, რომ საშუალოდ თითო რესპონდენტმა 3-4 პასუხი მონიშნა.

კითხვაზე, პროგრამის დასრულების შემდეგ გქონდათ თუ არა საჭიროება, გაგეგრძელებინათ სწავლა ქვემოთ ჩამოთვლილ მიმართულებებზე? პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა:



გამოკითხული 400 კურსდამთავრებულიდან პროფესიული ტრენინგები ან შემდგომი გადამზადების კურსები იგივე ან მომიჯნავე მიმართულებით გაიარა 89-მა რესპონდენტმა, რაც საერთო რაოდენობის 21%-ს შეადგენს. სხვა მიმართულებით გადამზადება აირჩია 64-მა კურსდამთავრებულმა (16%). რაც შეეხება დანარჩენ 247 კურსდამთავრებულს, მათ არ გამოუთქვამთ საჭიროება დამატებითი ტრენინგების ან კურსების გავლის თაობაზე, რაც მთლიანი რაოდენობის 63%-ს წარმოადგენს.

მონაცემები ცხადყოფს, რომ კურსდამთავრებულთა უმრავლესობა კმაყოფილია მიღებული განათლებით და არ საჭიროებს დამატებით გადამზადებას. იმ რესპონდენტთა შორის კი, ვინც დამატებითი განათლების მიღება გადაწყვიტა, მეტმა უპირატესობა მიანიჭა იმავე ან მომიჯნავე სფეროში ცოდნის გაღრმავებას, ვიდრე სრულიად ახალი მიმართულებით გადამზადებას.



რაც შეეხება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელებას, 85-მა (21%) გადაწყვიტა სწავლის გაგრძელება იგივე ან მომიჯნავე მიმართულებით,72-მა კურსდამთავრებულმა აირჩია სხვა მიმართულებით სწავლის გაგრძელება (18%). რაც შეეხება დანარჩენ 243 კურსდამთავრებულს (61%), მათ არ გაუგრძელებიათ სწავლა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

მონაცემებიდან იკვეთება, რომ კურსდამთავრებულთა უმრავლესობას არ გაუგრძელებია სწავლა, ხოლო იმ რესპონდენტებს შორის, ვინც გადაწყვიტა სწავლის გაგრძელება, მცირედით მეტმა უპირატესობა მიანიჭა იგივე ან მომიჯნავე მიმართულებას სრულიად ახალ სფეროსთან შედარებით.



კვლევის ფარგლებში ასევე შესწავლილ იქნა კურსდამთავრებულთა მიერ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გაგრძელების ტენდენცია. გამოკითხულ 400 კურსდამთავრებულს შორის 73-მა რესპონდენტმა (18%) გააგრძელა სწავლა უმაღლეს სასწავლებელში იგივე ან მომიჯნავე მიმართულებით. 55-მა კურსდამთავრებულმა (14%) აირჩია სხვა მიმართულებით სწავლის გაგრძელება, ხოლო უმრავლესობას - 272 კურსდამთავრებულს (68%) არ გაუგრძელებია სწავლა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

მონაცემები აჩვენებს, რომ კურსდამთავრებულთა მნიშვნელოვან ნაწილს (დაახლოებით ერთ მესამედს), სურვილი ჰქონდა უმაღლესი განათლების მიღების, მათგან უმრავლესობამ უპირატესობა მიანიჭა იგივე ან მომიჯნავე მიმართულებას, ვიდრე სრულიად ახალ სფეროს.



კურსდამთავრებულთათვის პროფესიული პროგრამების სარგებლიანობის შეფასება განხორციელდა ოთხი ძირითადი მიმართულებით: ადეკვატური სამუშაოს მოძიება, სამსახურში სამუშაოს ეფექტურად შესრულება, პროფესიული კარიერული განვითარება და პიროვნული განვითარება. ყველა მიმართულებაში გამოიკვეთა მკაფიოდ დადებითი ტენდენცია.

კურსდამთავრებულთა უმრავლესობამ (70-82%) პროგრამები შეაფასა როგორც "ძალიან სასარგებლო" ყველა ზემოხსენებული მიზნისთვის. დამატებით, კურსდამთავრებულთა 9-12%-მა პროგრამა "სასარგებლოდ" მიიჩნია. მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილმა - რესპონდენტთა 2-3%-მა აღნიშნა, რომ პროგრამა "საერთოდ არ იყო სასარგებლო".





ეს მაჩვენებლები მიუთითებს, რომ თითოეული პროგრამა მაღალეფექტურია როგორც პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების, ისე პიროვნული და პროფესიული ზრდის თვალსაზრისით. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ პროგრამის დადებითი შეფასება (კატეგორიები "ძალიან სასარგებლო" და "სასარგებლო" ერთად) თითოეულ მიმართულებაში აღემატება 90%-ს, რაც მიუთითებს პროფესიული პროგრამების მაღალ ხარისხსა და მის კომპლექსურ სარგებლიანობაზე კურსდამთავრებულთათვის.

პროფესიული პროგრამის შეფასება

კვლევის შედეგების მიხედვით,კურსდამთავრებულებმა მნიშვნელოვნად შეაფასეს რამდენიმე ფაქტორი, რომლებმაც გავლენა მოახდინეს პროფესიული განათლების არჩევაზე. გამოკითხულთა უმრავლესობისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა შემდეგ მიზეზებს: საინტერესო სასწავლო პროგრამა ან პროფესია 84.75%, დასაქმების მაღალი შანსი კურსის დასრულების შემდეგ 72% საგანმანათლებლო დაწესებულების კარგი რეპუტაცია 84%, სწავლის ადგილმდებარეობის სიმარტივე და ხელმისაწვდომობა 80%

მშობლებისა და ახლობლების რჩევა 66% და მხარდაჭერა სწავლის საფასურის არარსებობა 84% , კარიერული ზრდისა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობა 74%

აღნიშნული ფაქტორები კურსდამთავრებულების შეფასებით იყო „ძალიან მნიშვნელოვანი“ სწავლის გადაწყვეტილების მიღებისას, რაც მიუთითებს, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასა და მის შეთავაზებულ პროგრამებზე არჩევანი გაცნობიერებულ არჩევანს წარმოადგენდა.



კურსდამთავრებულთა დამოკიდებულება სასწავლო გარემოსა და პროცესის ხარისხის მიმართ

კურსდამთავრებულების დიდი ნაწილი პოზიტიურად აფასებს სასწავლო გარემოსა და სწავლის პროცესის ხარისხს. განსაკუთრებით მაღალი შეფასება მიენიჭა შემდეგ ასპექტებს:

სწავლების ხარისხი 90%, მასწავლებელთა კვალიფიკაცია და პროფესიონალიზმი 94%, სტუდენტებისთვის განკუთვნილი ექსტრაკურიკულური აქტივობები 70% სასწავლო მასალების ხელმისაწვდომობა 88% , საგანმანათლებლო პროცესში მრავალმხრივი კომუნიკაციის შესაძლებლობა, სტუდენტთა მოსაზრებების გათვალისწინება სასწავლო პროცესსა და მართვაში 84%, დაწესებულების ინფრასტრუქტურა და კეთილმოწყობა შშმ და სსსმ პირებისთვის ხელმისაწვდომი და ადაპტირებული გარემო 90%.

ზემოაღნიშნული მიგნებები მიუთითებს იმაზე, რომ კურსდამთავრებულები არა მხოლოდ აკადემიურ, არამედ სოციალურ და გარემოსეულ კომპონენტებსაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ პროფესიული განათლების პროცესში.



სწავლისას მიღებული კომპეტენციების შეფასება

კვლევის ფარგლებში კურსდამთავრებულებს დაესვათ კითხვა, რამდენად განივითარეს კონკრეტული უნარები და კომპეტენციები პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პროცესში. პასუხები ნათლად მიუთითებს, რომ მათი დიდი ნაწილი კმაყოფილია მიღებული განათლებით და საკუთარ პროფესიულ განვითარებაში პროგრესს ხედავს.

კურსდამთავრებულთა შეფასებით, მათ საფუძვლიანად განივითარეს შემდეგი უნარები და კომპეტენციები:

პროფესიული ცოდნა – 84%, პროფესიული უნარები (პრაქტიკული კომპეტენციები) – 84%, გუნდური მუშაობის უნარი – 83%, სწავლის უნარი – 80%, პრობლემის გადაჭრის უნარი – 78%, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნება – 75%, შემოქმედებითი და ახალი იდეების შემუშავების უნარი – 75%, განსხვავებულ პირობებთან ადაპტაციის უნარი – 75%, მეწარმეობის უნარი – 74%, კომპიუტერული უნარები – 68%, უცხო ენაზე მუშაობის უნარი – 60%.

აღნიშნული მონაცემები მიუთითებს, რომ პროფესიული განათლების პროგრამები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს უნარების განვითარებას.

კურსდამთავრებულები განსაკუთრებით დადებითად აფასებენ მათ მიერ შეძენილ პრაქტიკულ გამოცდილებას, რაც მათ მომავალ დასაქმებასა და პროფესიულ წარმატებას უქმნის მყარ საფუძველს.



სწავლით ზოგადი კმაყოფილების შეფასება

კითხვაზე კი გაიხსენეთ სწავლის პერიოდი დ შეაჯამეთ, მთლიანობაში რამდენად კმაყოფილი ხართ აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით, გამოკითხულთა 89% აღნიშნავს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით სრულიად კმაყოფილია.



დასკვნა

პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა რეგულარული კვლევა კოლეჯ „აისს“ საშუალებას აძლევს გაანალიზონ პროფესიული განათლების ხარისხი და მისი გავლენა პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმებაზე. კოლეჯ „აისის“ 2023 წლის კურსდამთავრებულთა კვლევის ანალიზი გვიჩვენებს, რომ დასაქმების საერთო მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია 75%, და ზოგიერთ შემთხვევაში, მაგ. მევენახეობა-მეღვინეობის დუალური სწავლების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და მებაღეობის პროფესიულ პროგრამაზე 100%-ია.

რესპოდენტთა უმრავლესობას პროფესიული განათლების მიმართ ჰქონდა დადებითი შეხედულება და კოლეჯ „აისში“ სწავლის შემდეგ მათი ეს მოლოდინები გამართლდა, რადგან მათი აზრით, კოლეჯის ინფრასტრუქტურა და პროფესიისთვის საჭირო რესურსები იძლევა ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას. კურსდამთავრებულთა უმრავლესობა კმაყოფილია მიღებული პროფესიული განათლებით და საკმაოდ დადებითად აფასებს საგანმანათლებლო დაწესებულებას.

საინტერესო იყო კურსდამთავრებულთა კომენტარები და რეკომენდაციები პროგრამებთან და კვლევასთან დაკავშირებით. გავაანალიზოთ ეს კომენტარები თემატურად:

დადებითი შეფასებები და მადლობები:

- ბევრი კურსდამთავრებული გამოხატავს კმაყოფილებას მიღებული განათლებით;
- განსაკუთრებით აღნიშნავენ პედაგოგების პროფესიონალიზმს და მათ მხარდაჭერას;
- ფასდება განათლების უფასო ხელმისაწვდომობა;
- აღნიშნულია კოლეჯის დადებითი და კეთილმოწყობილი გარემო.

რეკომენდაციები გაუმჯობესებისთვის:

- ახალი კურსების დამატების საჭიროება;
- პროგრამის გადახედვა საბაზო განათლების მქონე პირების დონის გათვალისწინებით;
- ჯგუფური აქტივობებისა და პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება;
- სპეციალობის მოდულების საათების გაზრდა ზოგადი მოდულების შემცირების ხარჯზე;
- სტუდენტების ნამუშევრების კომერციალიზაცია.

კვლევასთან დაკავშირებული კომენტარები:

- კვლევა ფასდება როგორც მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი განათლების სისტემის გაუმჯობესებისთვის;
- აღინიშნება, რომ კვლევა აძლევს კურსდამთავრებულებს საშუალებას გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები;
- დადებითად ფასდება კოლეჯის ინტერესი კურსდამთავრებულთა მიღწევების მიმართ.

საინტერესო რეკომენდაცია იყო ადგილობრივი საწარმოების გახსნის იდეა, რაც კურსდამთავრებულებს მისცემს შესაძლებლობას, გამოიყენონ მიღებული ცოდნა

პრაქტიკაში.

კომენტარებიდან ჩანს, რომ კურსდამთავრებულები აფასებენ კოლეჯში მიღებულ განათლებას და ხედავენ მის მნიშვნელობას თვითრეალიზაციისთვის. ამავდროულად, მათი რეკომენდაციები მიმართულია პროგრამების შემდგომი გაუმჯობესებისკენ და პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებისკენ.